ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4895719

ნომერი: AR1737951

თარიღი : 05.03.2020

გაცემის თარიღი : 12.03.2020

გაცნობის თარიღი : 13.03.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ მუჯირი პ/ნ 01030007304
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 54

ორგანიზაცია:
- სააქციო საზოგადოება "ქაშანური" კოდი: 206048819

ნომენკლატურა :

- ქარხანა
- IV კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: სააქციო საზოგადოება "ქაშანური"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206048819
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიხეილ მუჯირი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030007304

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 20222.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 5842.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 22748.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 19623.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 3125.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 17.06
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 15.56
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.5

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. საინფორმაციო დაფა - ბანერი. -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.:
წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-19-ე მუხლის, მე-2 და მე-3, ქვეპუნქტების შესაბამისად აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
ა) მშენებლობის (დემონტაჟის) ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
ბ) მიწის ნაკვეთის მისამართს;
გ) შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
დ) მშენებლობის (დემონტაჟის) ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს;
ე) შენობა-ნაგებობის სართულიანობას ან/და გაბარიტებს.
საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

2. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. : დამატებით წარმოადგინეთ შორი მანძილიდან და სხვადასხვა ხედიდან, დღევანდელი მდგომარეობით გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა გადაღების თარიღის დაფიქსირებით.

3. მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა არ არის მისაღები. წარმოდგენილ დოკუმენტში განხილული უნდა იყოს სადემონტაჟი ობიექტის მომიჯნავე ყველა საკადასტრო ერთეული, მათზე მდგომი შენობა-ნაგებობები, მათი ტექნიკური მდგომარეობა და მათზე შესაძლო ზეგავლენის შესაძლებლობაზე საექსპერტო დასკვნა დემონტაჟის პერიოდში. იმ შემთხვევაში თუ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არ არის განთავსებული შენობა შესაბამისად მითითებულ უნდა იქნას საექსპერტო დასკვნაში, ხოლო რაც სეეხება წარმოდგენილ დასკვნაში მოყვანილ საკადასტრო ერთეულებს 01.17.12.003.214 და 01.17.12.003.205-ს, აღნიშნული საკადასტრო კოდები არასწორად არის მითითებული.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.